ბრძანება

ქ. თბილისი

N 1778-03
28/09/2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 23 სექტემბრის MES 5 22 0001150757 ბრძანებით განსაზღვრულ პირთათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 23 სექტემბრის MES 5 22 0001150757 ბრძანებით განისაზღვრა იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც მიენიჭათ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების უფლება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, „საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირების, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობის გამო არ ჰქონდათ სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა) მოქმედ სკოლაში," საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 7 ივლისის N77/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 23 სექტემბრის MES 5 22 0001150757 ბრძანებით განსაზღვრულ პირთათვის, რომელთაც სურთ 2022-2023 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა, რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 28 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A303;

ბ) სამართლის სკოლა - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A407;

გ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5, ოთახი E302;

2. პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საქართველოს მოქალაქეობის ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი);

ბ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სრული ზოგადი განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ან საქართველოში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა) მოქმედ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სკოლაში მიღებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

დ) 1 ფოტოსურათი ზომით 3/4 და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაფინანსების უფლების მინიჭების შესახებ.

3. 18 წლამდე აბიტურიენტს თან უნდა ახლდეს კანონიერი წარმომადგენელი და თან იქონიოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მშობლის უფლების მქონე პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აბიტურიენტის დაბადების მოწმობა, ხოლო მეურვის მიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).

4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ეთხოვოს ინგლისური ენის დონის დასადგენად ტესტის ჩატარების უზრუნველყოფა;

5. 2022-2023 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე რეგისტრაციაგავლილ აბიტურიენტებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2022 წლის 30 სექტემბერი;

6. ფაკულტეტებს დაევალოთ, არაუგვიანეს 2022 წლის 30 სექტემბრისა უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ იმ აბიტურიენტთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;

7. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანებს.

8. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი